

Manana Kvachadze

მანანა კვაჭაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Shota Rustaveli in the Iranian-speaking World

შოთა რუსთაველი ირანულენოვან სამყაროში

Shota Rustaveli, the great Georgian poet of 12th century, author of immortal masterpiece “Vepkhistkaosani” (The Knight in the Panther’s Skin) was first mentioned in Europe at the beginning of the 19th century, in Asia – from the 30s of the 20th century.

To date, the poem has been translated into numerous languages, including several Iranic (Persian, Tajik, Ossetic, and Kurdish) languages. Attempts have been made in order to narrate Rustaveli’s poem either completely or partially, in prose or in poetry.

The interest of the readers and scholars towards “Vepkhistkaosani” is still increasing.

Key words: Rustaveli, Georgian Poetry, Iranian Languages

საკვანძო სიტყვები: რუსთაველი, ქართული პოეზია, ირანული ენები

შოთა რუსთაველის ხსენებას ევროპაში მე-19 საუკუნის დამდეგიდან ვხვდებით, აზიის სახელმწიფოებში – მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან (იხ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I-IV, 1976-1988, თსუ; მენაბდე, რუსთაველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, 1987, „მაცნე“, 71-91).

რუსთაველსა და მის პოემას აღმოსავლეთის ქვეყნებიდან პირველად ირანში გამოეხმაურნენ. ეს წამოწყება იური მარის, ვლადიმერ ფუთურიძის, საიდ ნაფისისა და ჰამზე სარდადვარის სახელებს უკავშირდება.

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან ირანის პერიოდიკაში ქვეყნდება მასალები რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ირანელი მოღვაწენი, ძირითადად, იზიარებენ მაშინ ჩვენსავე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებებს ფაზლის წყაროსთან („ესე ამბავი სპარსული“), თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით და რამდენადმე აზვიადებენ სპარსული პოეზიის როლისა და გავლენის მნიშვნელობას (იხ. კვაჭაძე, 2016, გვ. 128-129).

ცნობილმა ირანელმა მწერალმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორმა საიდ ნაფისიმ (1895-1966) რამდენიმე წერილი უძღვნა რუსთაველსა და მის პოემას.

ს. ნაფისი ახლოს იცნობდა ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს, არაერთხელ იყო საქართველოში, ინტერესდებოდა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებით. მას კარგად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ლიტერატურული ძეგლის მნიშვნელობა, პოემის თარგმნა სპარსულ ენაზე ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა, განზრახული ჰქონდა თავისი წვლილი შეეტანა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულად ამტყველების საქმეში, მაგრამ არ დასცალდა.

თეირანის ჟურნალ „არმადანში“ 1934 წელს ცნობილმა ირანელმა ლიტერატურათმცოდნემ, ჰამზა სარდადვარმა (თალებ-ზადემ) გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც წინასიტყვაობის სახით წინ უძღოდა პოემის მოკლე შინაარსს.

3. სარდადვარი წერს: „ქართული პოეზიის უბრწინვალესი შედეგია პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ეკუთვნის ქართველი ხალხის უდიდეს პოეტს შოთა რუსთაველს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პოემის შექმნის დღიდან საუკუნეები გავიდა, ჯერაც არავის დაუწერია მისი მსგავსი რამ. ეს პოემა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურშია შესული“.

შემდეგ მკვლევარი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის პოემას, აღნიშნავს მის სიდიადეს, განსაკუთრებულ პოპულარობას ქართველ საზოგადოებრიობაში, ეხება ავტორობის საკითხს და მიმართავს ჟურნალის მკითხველებს: „... გთავაზობთ პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსს და პატივცემულ მეცნიერთა და „არმადანის“ ყველა მკითხველს ვთხოვთ, რომ თუ სადმე – სპარსულ ლიტერატურაში ან ზეპირსიტყვიერებაში, – წაიკითხავენ ან მოისმენენ „ვეფხისტყაოსნის“ მსგავს პოემას, მოილონ მოწყალება და „არმადანის“ რედაქციას აცნობონ, რათა გარკვეულ იქნეს პოემის სადაურობის საკითხი“.

ჟურნალის თხოვნას არავინ გამოხმაურებია.

1935 წელს ვლადიმერ ფუტურიძემ გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის შემოკლებული პროზაული გარდათქმა, შესრულებული იური მარის მიერ შერვინ ბავენდის თანამშრომლობით. ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულად ამტყველების პირველი ცდა, ამდენად, ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი; თუმცა, აქ მთარგმნელის ძირითადი მიზანი ტექსტის შინაარსის გადმოცემა იყო და არა მხატვრული სამყაროს წარმოჩენა (იხ. კვაჭაძე, 2016).

სპარსულოვანი მკითხველისათვის რუსთაველისა და მისი პოემის გაცნობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველ მეცნიერთა მიერ სპარსულ ენაზე გამოქვეყნებულმა წერილებმა. რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით ჟურნალ „ფეიაჰ ნოვინში“ 1966 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა აკად. ალექსანდრე ბარამიძის წერილი „შოთა რუსთაველი“ (1966 هجری ۱۳۴۵), ხოლო მეექვსე ნომერში – პროფ. დავით კობიძის სტატია „რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა“ (1966 هجری ۱۳۴۶).

ყოველივე ამან გააძლიერა და აამაღლა ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. თანდათანობით მომწიფდა საკითხი პოემის სპარსულად თარგმნის შესახებ.

1966 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ სპარსულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი – შოთა რუსთაველი. ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ (1966 شمس).

ეს გახლავთ, ფაქტობრივად, რუსთაველის პოემის პირველი სპარსული პოეტური თარგმანი. იგი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ირანელი ემიგრანტის, მორთეზა ფათემის მიერ. წიგნში მოთავსებულია რამდენიმე თავის პოეტური თარგმანი, აქვეა დაბეჭდილი 100-ზე მეტი სენტენცია-აფორიზმის პროზაული თარგმანიც. წიგნს ახლავს პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილის ვრცელი „წინასიტყვაობა“. წინასიტყვაობაში მოკლედ არის განხილული IX-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირი-

თადი ეტაპები, საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება, გადმოცემულია პოემის მოკლე შინაარსი, ძირითადი იდეები და სხვ.

ქართული პრესა აქტიურად და თბილად გამოეხმაურა ამ მეტად საინტერესო და საყურადღებო ფაქტს. იყო აღტაცებული და აღფრთოვანებული საგაზეთო რეცენზიები; იყო კრიტიკული შეფასებებიც.

ბ-ნი მორთეზა ფათემი ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს სამშობლოში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა.

1970 წელს მემშვედის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების მეექვსე ტომის მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ამავე უნივერსიტეტის პროფესორის ჰამიდ ზარინქუბის მოზრდილი წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი. ირანელი მეცნიერის აზრით, რუსთაველის მიერ შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის შედეგრი კანონზომიერი შედეგია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისა. „ეს გახლავთ ადგილობრივი, თვითმყოფადი ქართული შემოქმედებითი ენერჯის, ბერძნულ-ბიზანტიურ, ირანულ-მუსლიმური კულტურების მონაპოვართა მაღალი სინჯის სინთეზი“, – წერს პროფ. ზარინქუბი.

* * *

საეტაპო მოვლენად არის მიჩნეული ფარშიდ დელშადის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის სპარსული პროზაული თარგმანის გამოცემა თეირანში, 1998 წელს (شاهینداده, 1998).

„ვეფხისტყაოსნის“ ფ. დელშადისეული თარგმანი ოთხ-ოთხ სტრიქონად არის დალაგებული, დაყოფილია დედნის სტროფული სეგმენტების მიხედვით და შესრულებულია ძარღვიანი კლასიკური სპარსული პროზით.

პროფესორ ალექსანდრე გვახარიას აზრით, „დელშადის თარგმანი უფრო მეცნიერულ შთაბეჭდილებას ტოვებს და ამგვარად მ. უორდროპის გზას მიჰყვება... ენა თარგმანისა კლასიკურია, ზოგჯერ ზედმეტად არქაული და კლასიკურ სპარსულ ძეგლებს დასესხებული.“ ა. გვახარის თქმით, მიუხედავად ხარვეზებისა, „ვეფხისტყაოსნის“ დელშადისეული თარგმანი არის „პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით“ (გვახარია, 2001).

ფარშიდ დელშადის ნაშრომმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

2000 წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიისა და გილანის უნივერსიტეტის გრიფით გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ დ-რ მოჰამად-ქაზემ იუსეფ-ფურის მიერ შესრულებული პროზაული თარგმანი (شاهینداده 2000).

დოქტორ იუსეფ-ფურის თარგმანს საფუძვლად უდევს აკადემიკოს მაგალი თოდუას მიერ მიწოდებული პწკარედი, ვენერა ურუმშიდისეული ინგლისური თარგმანი, ჩიქოვან-ხალილისეული არაბული თარგმანი და ფარშიდ დელშადისეული სპარსული თარგმანი.

თარგმანს წინ უძღვის იუსეფ-ფურისა და მაგალი თოდუას წინასიტყვაობანი. იუსეფ-ფური მოგვითხრობს პოემით დაინტერესების შესახებ, თარგმანისას წარმოშობილი პრობლემებისა და მათი დაძლევის გზათა ძიების შესახებ; მაგალი თოდუა ირანელ მკითხველს აწვდის ცნობებს რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ; გამოკვეთს „ვეფხისტყაოსნის“ ადგილს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, განიხილავს რენესანსთან მიმართებას და სხვ. თარგმანს დართული აქვს საკუთარ და გეოგრაფიულ სახლთა საძიებლები.

პროფ. ალექსანდრე გვახარიას აზრით, იუსეფ-ფურისეული თარგმანი გამოირჩევა „ვეფხისტყაოსნისადმი“ შემოქმედებითი მიდგომით, შინაარსის სულისკვეთებისა და მხატვრული სახის-მეტყველების ბუნებრივი (ზოგჯერ გამარტივებული) შერწყმით. „მან მოახერხა დღევანდელი სპარსული ენის ფარგლებში ზომიერი არქაული იერის დაცვა და მშობლიური კლასიკური მწერლობის საგანძურის ოსტატური გამოყენება... ეს თარგმანი უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია... და ხელს

შეუწყობს ირანულ მკითხველს, კიდევ უფრო ახლოს გაიცნოს ქართული პოეზიის შედეგები“ (გვახარია, 2001).

იუსეფ-ფურის შრომა უმაღლეს დონეზე დაფასდა. მთარგმნელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

საგულისხმოა, რომ ორ წელიწადში ზედიზედ ორჯერ გამოიცა პოემის ორი სხვადასხვა სპარსული თარგმანი. ამ თარგმანს დიდი რეზონანსი ჰქონდა და დიდი გამოძახილი მოჰყვა (კვაჭაძე, 2016).

* * *

„ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა დროს ითარგმნა რამდენიმე სხვა ირანულ ენაზეც: ტაჯიკურზე, ოსურზე, ქურთულზე.

ტაჯიკეთის პრესის ფურცლებზე რუსთაველის ხსენებას პირველად დავით კობიძის (1936 წ.) და ალექსანდრე ბარამიძის (1937 წ.) წერილებში ვხვდებით. პოემის 750 წლისთავის აღსანიშნავად, გაშლილი საქმიანობის ფარგლებში გამოქვეყნდა მრავალი წერილი თუ შენიშვნა, რომელთაც წარმოაჩინეს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში გამოქვეყნდა მრავალი წერილი; კვლავ გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა, გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ტაჯიკური პოეტური თარგმანის ნაწყვეტები და პოემის მოკლე შინაარსი (Руставели, 1966). ეს თარგმანები მკითხველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით მიიღო. რუსთაველისამი მიძღვნილი მრავალი წერილი გამოაქვეყნეს ტაჯიკმა მწერლებმა და მეცნიერებმა. ჩატარდა არაერთი ღონისძიება.

წერილებში საუბარია XII-XIII საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ძლიერებაზე, ქართული კულტურის მაღალ დონეზე, რუსთაველის ბიოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეებზე, პოემის მხატვრულ ღირსებებზე და სხვა. რუსთაველი წარმოდგენილი და დახასიათებულია როგორც უდიდესი მოაზროვნე და სიტყვის ოსტატი, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“, როგორც XII საუკუნის საქართველოს კულტურის მწვერვალი; განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად არის მიჩნეული, რომ რუსთაველმა ევროპულ რენესანსზე 200 წლით ადრე უმღერა ადამიანს, მის პიროვნულ ღირსებებს.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი ტაჯიკეთში რუსთაველის იუბილეს შემდეგაც გაგრძელდა. გამოჩენილი ტაჯიკი მთარგმნელი ა. ადჰამი აღნიშნავს, რომ მისი სურვილი იყო უდიდესი პოეტის ფილოსოფიური ზრახვანი, ნათელი სახეები, მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით შეეცნო, მკითხველისათვის სრულად ეგრძობინებინა მისი სურნელი, ჯეროვნად წარმოეჩინა პოემის იდეური სიღრმე და მხატვრული ელვარება. მან თითქმის 10 წელი მოანდომა რუსთაველის პოემის ტაჯიკურ ენაზე ამეტყველებას და 1979 წელს გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურული საზოგადოების დიდი ინტერესი და კმაყოფილება მოჰყვა (Руставели, 1979).

* * *

ოსმა მკითხველმა ქართული ენის მეშვეობით ადრევე გაიცნო რუსთაველის პოემა, ხოლო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში, ოსმა მწერლებმა მთარგმნელობითი მუშაობა წარმოიწყეს. პოემის ნაწყვეტის პირველი თარგმანი ეკუთვნის ი. ხოზითის, რომელიც რუსთაველს თარგმნიდა კ. ბალმონტისეული რუსული თარგმანიდან, რუსულიდანვე თარგმნეს პოემის ცალკეული სტროფები და აფორიზმები თ. ხოზითიმ, ხ. ფლითიმ, გ. ყაიყთიმ, ხ. არდასენთიმ და სხვებმა.

1943 წელს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ოსური თარგმანი გამოაქვეყნა პოეტმა მ. შავლოხთიმ, რომელიც ემყარებოდა კ. სანაყოთის მიერ შესრულებულ პწკარედს (რუსთაველი, 1943).

ამ თარგმანმა, რომლის პირველი გამოცემა ქართული გრაფიკით არის შესრულებული, თავის დროზე, გარკვეული როლი შეასრულა ოს მკითხველთა შორის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში. პრესა გულთბილად შეხვდა თარგმანის გამოსვლას. იყო გამოხმაურებები, რომლებშიც აღინიშნებოდა თარგმანის ნაკლიცა და ღირსებაც. იყო სერიოზული კრიტიკა.

მოგვიანებით, „ვეფხისტყაოსანი“ უშუალოდ ქართული ენიდან თარგმნა ოსმა პოეტმა, ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ, გიორგი ბესთაუთიმ. გიორგი ბესთაუთისეული თარგმანის პირველი ნაწყვეტები გამოქვეყნდა 1966 წელს ((Руставели, 1966), ხოლო 1975 წელს მკითხველმა მიიღო პოემის სრული პოეტური თარგმანი (Руставели, 1975), რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. თარგმანმა მაშინვე მიიპყრო სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. იგი მიჩნეული იქნა მთარგმნელის დიდ გამარჯვებად და მას ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა 1978 წელს.

2007 წელს რუსთაველის პოემას მშობლიურ ენაზე გაეცნო ირანულენოვანი სამყაროს კიდევ ერთი მკითხველი საზოგადოება – „ვეფხისტყაოსანი“ გამოქვეყნდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ენაზე – ქურთულზე. წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. წამძღვარებული აქვს რედაქტორის, ბ-ნ ქარიმ ანყოსის შესავალი წერილი ქურთულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე და მთარგმნელის წინათქმა ქურთულ ენაზე.

შესავალ წერილში რედაქტორი საუბრობს საქართველოს შესახებ, მისი ისტორიისა და მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ, ტრადიციების, ენის, კულტურის შესახებ და სხვა; აღნიშნავს რუსთაველის როლსა და მნიშვნელობას ქართულ და მსოფლიო პოეზიაში.

პოემა ქურთულ ენაზე თარგმნა ჯარდოე ასადმა. ჯარდოე ასადი (არტო ოზმანიანი) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში (1929-1993 წწ.), იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მას იცნობდნენ, როგორც მშობლიური ქურთული ენის, ლიტერატურის, ფოლკლორისა და ხალხური ტრადიციების კარგ მცოდნეს, ნიჭიერ პოეტსა და გამოცდილ მთარგმნელს.

ყოველივე ამან განაპირობა, რომ მას ეთავა ისეთი საპასუხისმგებლო საქმის წამოწყება, როგორც არის რუსთაველის პოემის თარგმნა. „ვეფხისტყაოსნის“ ქურთულ ენაზე შესრულებას, ჯ. ასადმა 25 წელი მოანდომა. სამწუხაროდ, წიგნის გამოცემას, ვეღარ მოესწრო.

ჯარდოე ასადი თავისი თარგმანის წინათქმაში მაღლიერებით მოიხსენიებს იმ ქართველს რუსთველოლოგებსა და პოეტებს, რომელნიც სათანადო კონსულტაციებს უწევდნენ და ეხმარებოდნენ მუშაობის პროცესში. პოემის თარგმნისას, როგორც თავად აღნიშნავს, გარდა ქართული დედნისა, იყენებდა სომხურ და რუსულ თარგმანებსაც.

ჯარდოე ასადის მიერ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ქურთული ენის „კურმანჯის“ დიალექტზე, რომელზედაც ლაპარაკობს მრავალმილიონიანი ქურთი ხალხის უმრავლესობა, რომელზეც შექმნილია ქურთული კლასიკური პოეზია და თანამედროვე ლიტერატურის დიდი ნაწილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ქურთული თარგმანი უდაოდ ძვირფასი შენაძენია მკითხველისათვის. მსოფლიოს მრავალ ენაზე არსებულ თარგმანებს შორის ჯარდოე ასადის თარგმანმა უკვე დაიკავა სათანადო ადგილი.

ამრიგად, დღეისათვის, „ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის, რამდენიმე ირანულ (სპარსულ, ტაჯიკურ, ოსურ, ქურთულ) ენაზეც. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, გვაქვს ე.წ. გარდათქმა-გადათხრობის ცდანი; გვაქვს ნაწილობრივი და სრული თარგმანები, პოეტური და პროზაული ვერსიები. ფასდაუდებელია ქართველ მეცნიერი-ირანისტთა ღვაწლი და დამსახურება პოემის შესწავლის, დამუშავებისა და გამოცემის საქმეში. ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ იზრდება როგორც მკითხველთა, ისე მკვლევართა მხრიდან.

2016 წელს, საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის და თანამშრომლობის საზოგადოების მიერ გამოცა კრებული „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ირანში“. კრებული ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს. იგი შეიცავს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სპარსულ ენაზე გამოქვეყნებულ გამოკვლევებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გვახარია ა. (2001). „ვეფხისტყაოსნის“ ახალი სპარსული თარგმანი. „ლიტერატურული საქართველო“, 48.
თოდუა მ. (1966). საიდ ნაფისი. „ლიტერატურული საქართველო“, 51.
კვაჭაძე მ. (2016). „ვეფხისტყაოსანი“ ირანულ ენებზე. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, თსუ, 128-151.
მენაბდე ლ. (1987). რუსთაველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. „მაცნე“. №2. 71-91.
რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I-IV (1976-1988). თსუ.
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ირანში (შემდგენლები ჯემშიდ და ელენე გიუნაშვილები დოქტორ ბაჰრამ ამირაჰმადიანის დახმარებით). (2016). „უნივერსალი“.
შოთა რუსთაველი (1943). სთაღ ცარმდარჟგ. სტალინირ.
Shota Rustaveli. (1938). Pahlavoni pusti palangpuş. Stalinobod: Nasrijot davlatili Toçikiston.
Шота Руставели. (1975). Стайы цармдарæг. Сталинир.
Шота Руставели. (1966). Пахлавони пусти палангпуш. Душанбе; Ирифон.
Шота Руставели. (1979). Палангинапуш. Душанбе: Ирифон.
1966. بارامی‌دزه شوئا روستاولی. مجله پیام نویسن. دوره هشتم
1966. کوی‌دزه د. روستاولی و ادبیات فارسی. پیام نویسن دوره هشتم.
1966. فاطمی. قطعاتی از منظومه پلنگینه پوش. زیر نظر جمشید گوناشویلی. تغلیس.
1998 پلنگینه پوش
2000 پلنگینه پوش

References:

- Gvakharia, A. (2001). „Vepkhist'q'aosnis“ akhali sp'arsuli targmani. [A new Persian translation of "The Rider in the Panther's Skin"]. „Lit'erat'uruli Sakartvelo“, 48.
Todua, M. (1966). Said napisi. [Said Nafis]. „Lit'erat'uruli Sakartvelo“, 51.
K'vach'adze, M. (2016). „Vepkhist'q'aosani“ iranul enebze. „Aghmosavletmtsodneoba“. [“The Rider in the Panther's Skin” in Iranian languages. "Oriental Studies"]. Tbilisi: Tsu, 128-151.
Menabde, L. (1987). Rustaveli aghmosavletis kveq'nebshi. [Rustaveli in the Eastern Countries]. Tbilisi: „matsne“. №2. 71-91.
Rustveli msoplio lit'erat'urashi, I-IV (1976-1988). [Rustaveli in World Literature, I-IV (1976-1988)]. Tbilisi: tsu.
Shota Rustavelis „vepkhist'q'aosani“ iranshi (shemdgenlebi jemshid da elene giunashvilebi dokt'or bahram amirahmadianis dakhmarebit). (2016). [Shota Rustaveli's "The Rider in the Panther's Skin" in Iran (compiled by Jamshid and Elene Giunashvili with the assistance of Dr. Bahram Amirahmadiani)]. Tbilisi: „universali“.
Shota Rustaveli. (1938). Pahlavoni pusti palangpuş. Stalinobod: Nasrijot davlatili Toçikiston.
Shota Rustaveli. (1943). Staøg tsarmdarqg. [The Tsar is a king.]. St'alininir.
Shota Rustaveli. (1966). Pahlavoni pusti palangpuş. [Baklavoni let palangpush]. Dušanbe: Irifon.
Shota Rustaveli. (1975). Stajy carmdaræg. [Flocks of Tsarmdaræ]. Stalinir.
Shota Rustaveli. (1979). Palanginapuş. [Palanginapush]. Dušanbe: Irifon.